EU4IM
კონტენტის შექმნის ხელშეწყობა
შესაბამისობის კრიტერიუმები

შესაბამისობის ძირითადი კრიტერიუმი

EU4IM („ევროკავშირი დამოუკიდებელი მედიისთვის“) თანამშრომლობს მხოლოდ დამოუკიდებელ მედიასთან. მედიასაშუალება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად კრიტერიუმს:

- სარედაქციო პროცესში მესაკუთრის / მესაკუთრეების ან მათი პოლიტიკური თუ საქმიანი პარტნიორების ჩაურევლობა.

ბენეფიციარების თავსებადობა:

- ყველა ლეგალურად რეგისტრირებული მედიასაშუალება, რომელიც ოფიციალურად (რეგისტრაციის საფუძველზე) უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
- არაკომერციული ჟურნალისტური ორგანიზაციები;
- დამოუკიდებელი კონტენტის შემქმნელი ორგანიზაციები;
- ჟურნალისტები / კონტენტის შემქმნელი გუნდები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმესთვის მუშაობენ.

კრიტერიუმებთან თავსებად ბენეფიციარს:

- უნდა ჰქონდეს ფუნქციონირების არანაკლებ 6-თვიანი (ექვსთვიანი) ისტორია განაცხადის გაკეთების თარიღამდე;
- შექმნას კონტენტი ერთზე მეტ პლატფორმაზე (სოციალური მედია ერთ-ერთ ასეთ პლატფორმად მოიაზრება);
- ჰქონდეს ეთიკის კოდექსი / სარედაქციო წესები და ნორმები / იყოს ჟურნალისტური ორგანიზაციის წევრი და ხელმძღვანელობდეს საერთო ეთიკის კოდექსით, ჰქონდეს ჟურნალისტური სტანდარტებისადმი ერთგულების ან მსგავს ინიციატივებში ჩართულობის დოსიე;
- ეკრძალება, დაუშვას ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სხვა პროექტებთან დუბლირება.

კონტენტის შექმნის ხელშეწყობის პროექტთან თავსებადი არ არის შემდეგი მედიასაშუალებები:

- საერთაშორისო მაუწყებლები;
- საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციები;
- გაბანკროტებული, ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ან გაყალბებისა თუ კორუფციის გამო ნასამართლეობის ისტორიის მქონე ორგანიზაციები; დაფინანსების მიღების შემთხვევაში, ორგანიზაციას შეიძლება მოეთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და / ან „კეთილსინდისიერების განაცხადი“ (*Declaration of Honour*).
- მედიასაშუალება, რომელიც მხარდაჭერას ითხოვს აშკარად თაღლითური ან ტროლური საქმიანობის განხორციელების მიზნით.

კრიტერიუმებთან შესაბამისობის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებები განისაზღვრება EU4IM-ის წამყვანი ექსპერტების გუნდის მიერ.